საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვეული სიფცეკვაა, ფცეილებით და ჭიბებით ბეჭ-თის გაფანა ყველა უკარბისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 28 მარტი. 2019 წ. №61 (8727) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ნატოს სამხედრო კომიტეტი საქართველოშია

საქართველოს, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დიდი ხნის პარტნიორის მიმართ მხარდაჭერის დემონსტრირების ნიშნად, ორდღიანი ვიზიტით ნატოს სამხედრო კომიტეტი ეწვია. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმაღლესი სამხედრო ორგანოს თავმჯდომარეს, ავიაციის მთავარ მარშალს სერ სტიუარტ პიჩს და დელეგაციის წევრებს თბილისის სამთავრობო აეროპორტში საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია დახვდა.

აეროპორტში დახვედრის ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატში სამხედრო კომიტეტმა სასტუმრო „ბილტმორში“ სხდომა გამართა. სესიას ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, ავიაციის მთავარი მარშალი სერ სტიუარტ პიჩი და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია წარუძღვნენ. ნატოს სამხედრო კომიტეტის წევრები რეგიონში არსებულ უსაფრთხოების მდგომარეობას გაეცნობიან და შავი ზღვის რეგიონში არსებული ვითარების შესახებ იმსჯელებენ.

დღეს ნატოს სამხედრო კომიტეტი ვაზიანის სამხედრო ბაზას ესტუმრება და საბრძოლო მომზადების ცენტრს (CTC) მოინახულებს. დელეგაციის წევრები საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამასაც (GDRP) გაეცნობიან. ნატოს სამხედრო წარმომადგენლები საქართველოში ვიზიტს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) სტუმრობით დაასრულებენ, სადაც „ნატო-საქართველოს ერთობლივ სწავლებას 2019“ დააკვირდებიან.

ნატოს სამხედრო კომიტეტი საქართველოს მესამედ სტუმრობს. უწყება ნატოს უმაღლეს სამხედრო ორგანოს წარმოადგენს, რომელიც ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ექვემდებარება. სამხედრო კომიტეტი ადგენს ინსტრუქციებს ნატოს პოლიტიკური სტრუქტურებისათვის, სამხედრო სტრატეგიასთან დაკავშირებით და პასუხისმგებელია ალიანსის სამხედრო საქმიანობაზე. სამხედრო კომიტეტი აფასებს ნატოსთვის შესაძლო საფრთხის შემცველი ქვეყნების სამხედრო ძლიერებასა და შესაძლებლობებს. საომარი მდგომარეობის, კრიზისული სიტუაციების ან ალიანსის სამშვიდობო-სამხედრო ოპერაციების დროს მას ევალება მოხსენებებისა და რეკომენდაციების წარდგენა ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფისთვის. აღსანიშნავია, რომ სამხედრო კომიტეტი შეიმუშავებს დირექტივებს ნატოს სამხედრო სარდლობებისთვის, ასევე აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთო უსაფრთხოების, თავდაცვისა და კრიზისების მართვის საკითხებზე ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის წარმომადგენლებთან.

მამუკა ბახტაძე:

ქობულეთში ვიწყებთ ნახევარმილიარდიანი პროექტის განხორციელებას!

2

ღარიბი ქვეყნის დიდი ჩემპიონები

აფხაზეთის მკვიდრთა შორის საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველთა რაოდენობა გაზრდილია

3

ვინ მიიღებს ქართულ მინას მემკვიდრეობით?

3

ვის და რატომ სძულს ებრაელები?

6

რუსი მილიარდერი, რომელიც ლევან ვასაძეს საქართველოში პოლიტიკური მიზნებით აფინანსებს...

5

ბალეტის „უფლისწული“



7

ნიკოლოზ ცისკარიძე: „დედას უნდოდა, რაიმე „სერიოზული“ პროფესია ამერჩია“

ქობულეთში ვიწყებთ ნახევარმილიარდიანი პროექტის განხორციელებას!

ქობულეთში ვიწყებთ უპრეცედენტო მასშტაბის, ნახევარმილიარდიანი პროექტის რეალიზაციას, რაც ყველაზე მასშტაბური ინვესტიციაა აჭარაში, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ქობულეთში, მწვანე ქალაქისა და გოლფის მოედნის მშენებლობის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, საუბარია ახალი მწვანე ქალაქის მშენებლობაზე, რომელიც მთელი საქართველოსთვის სავიზიტო ბარათი გახდება.

„ჩვენ ვსაუბრობთ ისეთ მასშტაბურ ინვესტიციაზე, რომელიც აჭარის ოთხსეზონიან კურორტად გადაქცევას უზრუნველყოფს. ვსაუბრობთ ისეთ მასშტაბურ პროექტზე, რომელიც იქნება ნამდვილი მარგალიტი მთელი შავი ზღვის აუზში, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ სწორედ საქართველო დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც ლიდერი ქვეყანა ტურიზმში“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ინვესტიციები იზრდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, მთავრობის მეთაურის განცხადებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან კიდევ უფრო მეტი ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას იძლევა.

2016 წლის არჩევნებისას ივანიშვილს ბესელიას საარჩევნო სიაში ჩასმა არ უნდოდა!

მმართველი პარტიის წევრი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძე ადასტურებს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო სიაში ეკა ბესელიას ჩასმის წინააღმდეგი იყო: **„მეც მაქვს ინფორმაცია, რომ 2016 წელს ბიძინა ივანიშვილი აძლევდა რეკომენდაციას მაშინდელ ხელმძღვანელობას, რომ ეკა ბესელია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში არ ყოფილიყო“,** — განაცხადა სოფო კილაძემ და აღნიშნა, რომ ეკა ბესელია აქტუალური არ არის.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ივანიშვილი 2016 წელს ეწინააღმდეგებოდა ბესელიას სიაში ჩასმას, მამუკა მდინარაძემ გაავრცელა.

მამუკა ბახტაძე: ღარიბი ქვეყნის დიდი ჩემპიონები

ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატი იქნება კიდევ ერთი დასტური იმისა, **რომ საქართველო არის არა მხოლოდ ჩემპიონების სამშობლო, არამედ არის ქვეყანა, რომელსაც მსგავსი საერთაშორისო ტურნირების ძალიან მაღალ დონეზე მასპინძლობა შეუძლია.**

მთავრობის მეთაური გუშინ ბათუმში საქართველოს ძალოსნობის ნაკრების წევრებს შეხვდა, რომლებიც ჩემპიონატისთვის ემზადებიან და მათ წარმატებები უსურვა. მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, რომ მთელი საქართველო ამაყობს მათი წარმატებებით და ისინი ახალგაზრდებისთვის სამაგალითონი არიან.

პრემიერმა სამზადისის შესახებ ინფორმაცია ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ კახი კახიაშვილისგან მოისმინა და ხაზი გაუსვა ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარების მნიშვნელობას.

„ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ ძალოსნობაში უნიკალური მიღწევები გვაქვს. დღეს ჩვენს ნაკრებში ყოველი მესამე — მსოფლიო ჩემპიონი, ყოველი მეორე კი ევროპის ჩემპიონია. მადლობას ვუხდი ძალოსნობის ფედერაციას, მწვრთნელებს და ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს, რომლებმაც ბოლო წლებში ასეთი წარმატებებით გაგვანებივრეს. დარწმუნებული ვარ, ევროპის ჩემპიონატი ბათუმში ჩვენთვის ძალიან წარმატებული იქნება. ეს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის შესაძლებლობას მოგვცემს და იქნება კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საქართველო არის არა მხოლოდ დიდი ჩემპიონების სამშობლო, არამედ არის ქვეყანა, რომელსაც მსგავსი საერთაშორისო ტურნირების ძალიან მაღალ დონეზე მასპინძლობა შეუძლია“, — აღნიშნა პრემიერმა.

ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატი ბათუმში, ახალაშენებულ სპორტის სასახლეში 6 აპრილს დაიწყება და მასში 40-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

„ჩვენ, როგორც მთავრობა, თავს მოვალედ ვთვლით, ხელი შევუწყოთ ჩვენს მოქალაქეებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, რითიც ასევე დავეხმარებით კერძო სექტორს საჭირო კადრების შერჩევასა და მათ დასაქმებაში“ — ამის შესახებ გიორგი ქობულიამ მედიის წარმომადგენლებთან „რედისონში“ გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, სადაც მინისტრმა პროფესიული გადამზადების მასშტაბური პროგრამის დაწყება დააანონსა.

მისივე თქმით, არაერთი კვლევა და უცხოელი ინვესტორების გამოკითხვა ადასტურებს, რომ კვალიფიკაცია — ეს არის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა ქვეყანაში უფრო მეტი ინვესტიციების განხორციელებისთვის.

„დღეს დავიწყეთ პროფესიული გადამზადების მასშტაბური პროგრამა, პირველ ეტაპზე, ორ ძირითად სექტორში — ეს არის ტურიზმი და საინფორმაციო ტექნოლოგიები. რატომ ტურიზმი? იმიტომ, რომ ეს არის დღეს ეკონომიკის ძირითადი სექტორი და გვსურს, აქ ავწიოთ მომსახურების ხარისხი, რადგან, ჩვენი ვარაუდით, რამდენიმე წელიწადში 11 მილიონამდე გაიზრდება ქვეყანაში ვიზიტორთა რაოდენობა და მათ მომსახურებას სჭირდება ძალიან დიდი სერვისის მანქანა, რომელიც ჩვენ უნდა შევქმნათ“, — აღნიშნა მინისტრმა.

დღეს მთავარია პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება

„წარმოიდგინეთ, რომ დღეს ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც ფიზიკურად საქართველოში არიან, ემსახურებიან დამკვეთებს ისეთი ქვეყნებიდან, როგორიც არის აშშ, ავსტრალია, ევროპის ქვეყნები. მათ არ სჭირდებათ გასვლა ქვეყნიდან, ისინი აქ იღებენ ხელფასს და შემოაქვთ უცხოური ვალუტა ქვეყანაში. კონკრეტულად, ამ სექტორში პროგრამა გაწერილია სამი ათას კაცზე, მათი გადამზადება ჯდება 2,5 მილიონი დოლარი და ამის დაფინანსებაში გვეხმარება მსოფლიო ბანკი“ — განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება პროგრამის სხვა მიმართულებას, მინისტრის თქმით, იქ არის საკმაოდ რთული ბიუჯეტირება, მაგრამ პროგრამის მიზანი ერთმნიშვნელოვნად სასარგებლოა. **„პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ პროგრამისთვის ჩვენ არ უნდა დავზოგოთ თანხები, რადგან ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო საქმე ჩვენი მოქალაქეების დასაქმებისა და კერძო სექტორის განვითარებისთვის“** — აღნიშნა ქობულიამ.

თბილისის ფუნიკულიორი 114 წლისაა

თბილისის ფუნიკულიორი 1905 წლის 27 იანვარს გაიხსნა. 1900-იან წლებში გაჩნდა ე.წ. ზედა თბილისის გაშენების იდეა. გეგმის მიხედვით „ზედა თბილისი“ მთაწმინდის პლატოზე უნდა გაშენებულიყო. შემუშავდა „ზედა თბილისის“ განაშენიანების გეგმა და ქუჩათა ქსელი. უმთავრესი პრობლემა „ქვედა თბილისთან“ სატრანსპორტო კომუნიკაცია იყო.

ამ პრობლემის გადაჭრის გზა კი თბილისის ტრამვაის ქსელის მფლობელმა ბელგიურმა კომპანიამ წარმოადგინა. ბელგიელი ინჟინრის ალფონს რობის ინიციატივით, ახალი უბანი ძველ ქალაქს სამთო ტრამვაით — ფუნიკულიორით უნდა დაკავშირებოდა.

1900 წლის ივლისს ქალაქის თვითმმართველობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თბილისში ფუნიკულიორის გაყვანის შესახებ და დაამტკიცა რობის პროექტი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შემდეგს: მშენებლობის დამთავრების შემდეგ ფუნიკულიორის გზის თვითმმართველობისათვის გადაცემას, 5 წლამდე ბავშვების, ფოსტის დამტარებლებისა და პოლიცია-ჟანდარმერიის უფასო მგზავრობას. ბელგიის ანონიმური საზოგადოება ფუნიკულიორს ექსპლუატაციას გაუწევდა 45 წლის განმავლობაში, შემდეგ კი იგი უსასყიდლოდ გადაეცემოდა ქალაქს. ხელშეკრულებაში ნავარაუდევი იყო აგრეთვე მთაწმინდასა და კოჯორს შორის ელექტრული რკინიგზის გაყვანა.

ფუნიკულიორის მშენებლობა 1903 წლის სექტემბერს დაიწყო, მის მშენებლობაში მონაწილეობდნენ უცხოელი სპეციალისტები. მშენებლობის პროექტი შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა ა. ბლანშმა, არქიტექტურული ნაწილი დაამუშავა თბილისელმა ხუროთმოძღვარმა ა. შიმკევიჩმა. გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ბელგიელი და იტალიელი ინჟინრები ი. რაგოლერი და ა. ფონტანა-როსი. ფუნიკულიორის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ, რომლის ინიციატივით მოკლე დროში შესრულდა რკინაბეტონის სამუშაოები ესტაკადისათვის.

ფუნიკულიორი გაიხსნა 1905 წლის 27 მარტს. მის საექსპლუატაციოდ გადაცემას დიდი ფერწერული ტილო უძღვნა ნიკო ფიროსმანმა. მგზავრობის პირველი მსურველების მოსეირეების წასახალისებლად ფუნიკულიორის მფლობელმა ბელგიურმა ანონიმურმა საზოგადოებამ საკმაოდ სოლიდური თანხა გამოაცხადა მათთვის, ვინც ვაგონს მთაწმინდაზე აჰყვებოდა და ჩამოჰყვებოდა.

ფუნიკულიორის პირველი რეკონსტრუქცია ჩატარდა 1936-1938 წლებში, დაძველებული ზედა სადგურის ადგილას აშენდა ახალი (ავტორები არქიტექტორები: ზ. და ნ. ქურდიანები, თანაავტორი ა. ვალაბუევი), მეორე 1968-1969 წელს ამჯერად ძველი ქვედა სადგურის ნაცვლად აიგო ახალი შენობა, შეიცვალა ვაგონების ძარები და გაფართოვდა ფუნიკულიორთან მისასვლელი მოედანი.

ვილნიუსის ერთ-ერთ ქუჩას „ქართველების ქუჩა“ ეწოდა

ლიეტუვის **რესპუბლიკის დედაქალაქ ვილნიუსში, ერთ-ერთ ქუჩას „ქართველების ქუჩა“ ეწოდა. ინფორმაციას ლიეტუვაში საქართველოს ელჩი ხათუნა სალუქვაძე ავრცელებს.**

ლიეტუვაში მიმდინარე „საქართველოს კულტურის გაზაფხული ლიეტუვაში 2019“ კულტურის დღეების ფარგლებში, საქართველოს ელჩმა ხათუნა სალუქვაძემ და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ანსამბლ „სულიკოს“ მომღერლებმა ვილნიუსის ერთ-ერთ რაიონში „ქართველების ქუჩა“ — Kartvelu Street გახსნეს. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მაისში ლიეტუვამ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება საქართველოს აუთენტური დასახელების Sakartvelo-ს ლიეტუვურ ენაში დამკვიდრების თაობაზე ორი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავის აღნიშვნის ფარგლებში. შესაბამისად, ვილნიუსში ახლადგახსნილ ქუჩას ასევე Kartvelu Street, ანუ ქართველების ქუჩა ეწოდა.

მიმდინარე წელს აღინიშნება დამეგობრებული დედაქალაქების — თბილისისა და ვილნიუსის დამეგობრების 10 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა ანსამბლ „სულიკოს“ საჯარო კონცერტი ქ. ვილნიუსში მდებარე თბილისის სახელობის სკვერში, სადაც ვილნიუსის მაცხოვრებლებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ ქართულ ხელოვნებას.

კახა კალაძე:

გადაცდომა და კანონის წინააღმდეგ წასვლა არავის ეპატიება

თბილისის მერმა კახა კალაძემ მერიის სტრუქტურებში შემავალი სამსახურების ხელმძღვანელებსა და გამგებლებს კიდევ ერთხელ სთხოვა, კორუფციის წინააღმდეგ მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ.

დედაქალაქის მერი მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საბურთალოს გამგეობის თანამშრომლის დაკავების ფაქტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მსგავსი გადაცდომების წინააღმდეგ, კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები გატარდება.

„რამდენიმე დღის წინ საბურთალოს გამგეობის სამხედრო განყოფილების თანამშრომელი ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. წელს, როდესაც ვიწყებდით მუშაობას, პირველივე მთავრობის სხდომაზე პირადად გავამახვილე ყურადღება და ყველა იქნა გაფრთხილებული, რომ კორუფციის წინააღმდეგ, მაქსიმალური ყურადღება გამოეჩინათ. ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ კორუფციას. ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ასეთი საქმეები. გადაცდომა და კანონის წინააღმდეგ წასვლა არავის ეპატიება. ყველას მოგიწოდებთ, რომ თანამშრომლები კიდევ ერთხელ გააფრთხილოთ და მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინოთ, რათა მსგავსი ფაქტები არ მოხდეს. ჩვენ უნდა ვემსახუროთ ჩვენს ქალაქს და თბილისელებს. ამიტომ ძალიან დიდი პასუხიმგებლობა გვაქვს აღებული. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თუ ვინმეს რაიმე პრობლემა აქვს, უჭირს, დახმარება სჭირდება, მზად ვართ, რომ ხელი შევუწყოთ. უამრავ ადამიანს ვეხმარებით და ჩვენს თანამშრომლებსაც, ვისაც უჭირს, პრობლემები აქვს, ხელშეწყობა და თანადგომა ექნება, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს კანონის გადახვევით და ქრთამის აღების გზით. ეს კატეგორიულად მიუღებელია და მსგავსი დანაშაულის წინააღმდეგ, ყოველთვის ძალიან პრინციპული ვიქნებით“, — განაცხადა კახა კალაძემ.

კახა კალაძის განცხადებით, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული შეხედულება, რომ ყველა მშენებლობა დანაშაულია, უნდა შეიცვალოს და ამას მუნიციპალიტეტი ქალაქის სწორი განვითარებით მოაგვარებს.

„სამწუხაროა, რომ ის, რაც წლების განმავლობაში აღმშენებლობად ითვლებოდა, დღეს უკვე ერთგვარ დანაშაულად ითვლება. ეს კატეგორიულად მიუღებელია, თუმცა ისიც მესმის, რატომ არსებობს ეს დამოკიდებულება. ბევრი არასწორი პროექტი განხორციელდა ისეთ ადგილებში, სადაც არ უნდა გაკეთებულიყო. ადამიანებში ჩამოყალიბებულია ტენდენცია, რომ ყველა მშენებლობა დანაშაულია და არ აინტერესებთ, კანონის დაცვით კეთდება ის თუ არა. ჩემთვის მსგავსი დამოკიდებულება მიუღებელია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს რეალობა შევცვალოთ სწორი ქმედებებით, სწორი პროექტების განხორციელებით და ქალაქის ურბანულად სწორი განვითარებით. ჩვენ გვაქვს გენგეგმა, რომელიც გრძელვადიან პერიოდში ქალაქის სწორ განვითარებას გულისხმობს. შესაბამისად, მომდევნო წლების განმავლობაში, არსებულ პრობლემებს მოვაგვარებთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ვინ მიიღებს ქართულ მიწას მემკვიდრეობით?

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების“ შესახებ კანონპროექტი პირველი მოსმენით განიხილა და მას მხარი დაუჭირა.

წარმოდგენლ დოკუმენტში არასამთავრობო სექტორს, საპარლამენტო ოპოზიციასა და „ქართული ოცნების“ დეპუტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი საგანი კანონპროექტში მოცემული ჩანაწერია, რომლის თანახმად, ის უცხოელები, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო მიწა მემკვიდრეობით მიიღეს, ვალდებულნი არიან, მიწა დაამუშაონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწა 3 წლის ვადაში უნდა გაასხვისონ. მსგავსი რეგულაცია საქართველოს მოქალაქეებისთვის მოცემული არ არის, ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული მიდგომა დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს.

გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტი კითხვებს მემკვიდრეობით მიღების უფლების მქონე უცხოელთა დეფინიციასთან დაკავშირებით აჩენს, რადგან კანონპროექტის ავტორმა, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ 13 მარტს, „საქმიანი დილის“ ეთერში საუბრისას განაცხადა, რომ მემკვიდრეობით მიღებული მიწის ფლობა მხოლოდ ეთნიკურად ქართველ უცხოეთის მოქალაქეს შეეძლება.

BM.GE-მ დეპუტატს დამატებითი კითხვებით მიმართა:

„ეთნიკური რატომ ამოწიეთ, ვერ ვხვდები. მაინტერესებს, ქართველი თქვენთვის ვინ არის? — საქართველოს მოქალაქე. ჩვენ საქართველოს მოქალაქეებზე ვსაუბრობთ, ოსია ის, აფხაზი თუ კახელი, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

უცხოელებში იგულისხმება ქართველი, რომელსაც შეიძლება, ტექნიკურად ჰქონდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. ის, რომ საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, ანუ ქართველს, სხვა ქვეყნის მოქალაქეობა ჰქონდეს, ჩემთვის ის უცხოელი არ არის. ძალიან სწორ-

რად და გასაგებად რომ ვთქვა, ეს არის ქართველები, ანუ საქართველოს მოქალაქეები, ან ყოფილი მოქალაქეები, რომელთაც ტექნიკურად შეცვლილი აქვთ მოქალაქეობა. ამ პიროვნებებზეა საუბარი, რომ მათ ექნებათ მემკვიდრეობით მიწის მიღების შესაძლებლობა“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

კითხვაზე — უცხოელებში იგულისხმებიან თუ არა არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები, დეპუტატმა პასუხად აღნიშნა, რომ **უცხო ქვეყნის ფიზიკური პირები სასოფლო-სამეურნეო მიწებს საქართველოში ვერ შეიძენენ.**

„უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირს არ ექნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყიდვის უფლება. ქართველს, რომელსაც ჰქონდა უცხო ქვეყნის მოქალაქეობა, არის ქართველის შვილი და შეიძლება, ამ კონკრეტული მომენტისთვის ჰქონდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა ტექნიკურად, რადგან ის ქართველია — იყო საქართველოს მოქალაქე, არის ქართველების შვილი, შვილიშვილი და ა.შ - ესენი არიან, ვისაც ექნებათ მემკვიდრეობით სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლება“, — განაცხადა კანონპროექტის ავტორმა.

ამ განმარტების შემდეგ BM.GE დაინტერესდა, შეძლებს თუ არა მემკვიდრეობით სასოფლო-სამეურნეო მიწის მიღებას მაგალითად, ბრიტანელი, რომელიც წარსულში საქართველოს მოქალაქე იყო.

„თუ მას აქვს საქართველოს მოქალაქეობა, ის არის საქართველოს მოქალაქე. ის არის ქართველი“, — განაცხადა პასუხად დეპუტატმა.

ცნობისთვის: კანონპროექტის თანახმად, „კანონით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს:

ა) უცხოელის საკუთრებაში, თუ მიიღო მემკვიდრეობით;

ბ) საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში, თუ დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით“.

accentnews.ge

აფხაზეთის მკვიდრთა შორის საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველთა რაოდენობა გაზრდილია

ოკუპირებული აფხაზეთის მკვიდრთა მხრიდან საქართველოს ჯანდაცვის სისტემისადმი მომართვიანობა გაზრდილია. ასევე მზარდია დინამიკა საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველთა მომართვიანობის კუთხით, — განუცხადა „აქცენტს“ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ჯანდაცვის მინისტრმა ქეთი ბაკარაძემ.

საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, იგი კონკრეტულ ციფრებს არ ასახელებს, თუმცა აცხადებს, რომ „დინამიკა ცალსახად მზარდია“.

ბაკარაძისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პაციენტთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც ჯანდაცვის ქართულ სისტემას პირველად მიმართავენ. სავარაუდოდ, სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ვიცე-პრემიერ ასლან კობახიას განცხადება, „რეფერალური პროგრამა მოჩვენებითი მზრუნველობაა და რეალურად, თბილისს გალის მცხოვრებლების ბედი არ ანაღვლებსო“.

ჯანაცვის რეფერალური პროგრამით სარგებლობა შეუძლია ყველა იმ პირს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს და არა აქვს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ოკუპირებულ გალში მცხოვრები ის პირები კი, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა აქვთ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობენ.

„ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტს ყოველთვის წარმოადგენდნენ, ახლაც არიან და სამომავლოდაც იქნებიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და დევნილები, რომლებიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არაა ხმამაღლა საუბარი იმაზე, თუ რას ვაკეთებთ, მაგრამ აქცენტები გალში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების მისამართით კეთდება. დღესაც ვატარებთ კომისიის სხდომას. დაახლოებით 200 ადამიანმა მოგვმართა ერთი კვირის განმავლობაში. მე ვსაუბრობ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე და არა იმაზე, თუ რამდენი აფხაზი მოდის. ყოველწლიურად იზრდება გალში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების მომართვიანობა. ჩვენ ძალიან ბევრი პროგრამა გვაქვს და როდესაც ეს პროგრამები იგეგმება (ყოველწლიურად გვაქვს საპილოტე პროგრამები), ყოველთვის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების საჭიროებაზეა მორგებული. გალში ჩვენი სამედიცინო დაწესებულებები გვაქვს, მუდმივ რეჟიმში გვაქვს ინფორმაცია, რა ხდება იქ. პირადად მე ყოველდღიურად ვარ ჩართული ურგენტული სამედიცინო მომსახურების საკითხების მოწესრიგება—მოგვარებაში. ყოველდღიურ რეჟიმში გადმოგვყავს როგორც ურგენტული პაციენტები და ახალშობილები, რომელთაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროებათ, ასევე გეგმიური პაციენტები. ჩვენ მათ ყველა გამოკვლევას ვუფინანსებთ“, — განუცხადა „აქცენტს“ ბაკარაძემ.

მისივე განმარტებით, საქართველოს მოქალაქეობა პირს პრიორიტეტულ მდგომარეობაში აყენებს: **„მოგეხსენებათ, რეფერალური პროგრამის მიხედვით თითოეულ პაციენტს ფინანსური ლიმიტი აქვს, ჩვენს მოქალაქეებს კი (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულებს) — არა; რეფერალურ პროგრამაში ჩართულებს არ უფინანსდებათ ამბულატორიული კვლევები, ჩვენს მოქალაქეებს, დევნილებს კი ვუფინანსებთ ყველა ამბულატორიულ კვლევას. ზოგ შემთხვევებში ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა გეგმიურ მომსახურებას 100%—ით არ ფარავს. მსგავსი შემთხვევებისთვის ჩვენ, როგორც ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, გვაქვს თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი პრობლემა არაინფორმირებულობაა და ყველაფერს ვაკეთებთ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. მინდა, ხაზგასმით განვაცხადო, რომ საქართველოს მოქალაქეობა პრივილეგირებული და მიმზიდველია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ბევრი პირისთვის, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, რეფერალური პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე ბევრ ვერტიკალურ პროგრამაში ვერ ხვდება. ამიტომ ისინი იღებენ საქართველოს მოქალაქეობასაც. ამ კუთხით ტენდენცია დადებითია, უბრალოდ დეტალებზე ვერ ვისაუბრებ“.**

ისევ ბუკიკიო თუ დაგვეხმარება, თორემ...

ახლახან პარლამენტმა დეპუტატთა უსაშველო გაწევ-გამოწევისა და უსაგნო კინკლაობა-თავლაფდასხმის შემდეგ, როგორც იქნა, განიხილა ირაკლი კობახიძისა და მისი ჯგუფის მიერ ინიცირებული კანონპროექტი მოსამართლეთა ვადიანი თუ უვადო წესით დანიშვნის თაობაზე, რომელმაც დეპუტატებთან ერთად, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ფაფარაყრილი ვნებათაღელვა გამოიწვია. როგორც პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ ტელეეთერით განაცხადა, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოძრომის მიზნით. მან დახმარებისთვის უკვე მიმართა ვენეციის კომისიას და იქვე დაამატა: კანონპროექტის მეორე მოსმენა მანამდე არ გაიმართება, ვიდრე იქიდან წერილობით რეკომენდაციებს არ მიიღებენ.

ეგრე რა, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარეო! გაკვირვებული ვარ, ან აქამდე რას ელოდებოდით? თავის დამცირებისა გესირცხვებოდათ თუ უცხოელების შეწუხებას ერიდებოდით? ალბათ, არც ერთისა და არც მეორისა, რადგან ერთიც და მეორეც ქართველმა ხელისუფლებმა კარგა ხანია, ჩაილულის წყალს გაატანეთ. თუ ასე არ არის, მაშინ იქნებ გაგვახსენოთ, საქართველოს პარლამენტმა გნებავთ, მისმა მთავრობამ, ევროპა-ამერიკიდან კარნახისა და ხელის წაუხმარებლად ქვეყნის რომელი მტკივნეული პრობლემა გადაჭერით?

ვერც ერთი!

ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, იმ ჩვენს ევროპელ და ამერიკელ სტრატეგიულ მეგობრებსაც რომ არ ეზარებათ ჩვენი წაქცეული საქმეებისთვის ხელის შეშველება? აი, ამჯერადაც, მიიღეს თუ არა საქართველოდან შეტყობინება, — მოგვეხმარეთო, — მთელი ვენეციის კომისია უმალ ფეხზე დადგა. მზად ვართ, ჩამოვიდეთ თქვენს მშვენიერ ქვეყანაში, ადგილზე შევისწავლოთ სასამართლოს რეფორმირებაში არსებული მდგომარეობა, შევიმუშავოთ და რაც შეიძლება სწრაფად გადმოგცეთ ამასთან დაკავშირებული რეკომენდაციებიო, — გვაუწყა მრავალწახნაგოვანი ღიმილით სახედამშვენებულმა ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ვენეციის კომისიის თავკაცმა, ბატონმა ჯანი ბუკიკიომ.

ბარაქალა თქვენს ვაჟკაცობასა და შემართებას, ბატონო ჯანი!

ჩემი აღფრთოვანების გულწრფელობაში ეჭვი რომ ვინმეს არ შეეპაროს, გავიხსენებ ჩვენი ქვეყნის მიერ არცთუ შორეულ წარსულში გადატანილ „საკონსტიტუციო კრიზისს“, როცა ვენეციის კომისიამ და პირადად ბატონმა ბუკიკიომ თავიანთი რეკომენდაციებით აუწონ-შეუფასებელი დახმარება გაუწიეს ჩვენს კანონმდებლებს საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებაში. არა მარტო მაშინ, ახლაც კი, როცა ჩასაფრებული ავსიტყვა ნაცები კვლავაც შეეცდებიან ქვეყნის კონსტიტუციისთვის თავიანთი შხამიანი კბილის გაკვრას, პარლამენტის სპიკერი მათ დადუმებას დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შეხსენებით ახერხებს.

არადა, რა გასაკვირია, რომ ვენეციის კომისიის წყალობით „საკონსტიტუციო კრიზისს“ გადარჩენილმა პარლამენტის სპიკერმა საშველად და დასახმარებლად უცხოეთში ისევ „ძველ ნაცნობებს“ მიაკითხა. რასაკვირველია, ამჯერად უკვე არა საკონსტიტუციო, არამედ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ყბადაღებულ საკითხზე, რომლის ირგვლივაც ახლა დეპუტატთა შორის დაუნდობელი, ხელჩართული ომია გამოცხადებული. ადრე თუ სადავო საკითხებზე ქოცები და ნაცები, უმრავლესობისა თუ უმცირესობის წარმომადგენლები კინკლაობდნენ, ახლა ყველაფერი ერთმანეთში აირია. აქაოდა, მოსამართლეთა უვადოდ გამწესების საკითხს ვიხილავთო, დეპუტატებმა თავადაც ერთმანეთს უვადო ცეცხლი გაუხსნეს. ეკა ბესელია, რომელიც ამ დავის გამო თანამდებობას შეელია, ახლა თავისივე გუნდელებისთვის მთავარი მბრალმდებელი გახდა. ქალბატონ ეკასთან ერთად, ვანო ზარდიაშვილი, მამუკა მდინარაძე და სხვანი, ბრძოლის მიუღებელ მეთოდებსაც აღარ თაკილობენ და სადეპუტატო მოღვაწეობის პერიოდში ფულის კეთების „გამოცდილებას“ დაუფარავად ამხელენ.

აღარაფერს ვამბობ საპარლამენტო უმცრესობაში მყოფ ავყია ნაცებზე, რომლებიც ქოცების საეჭვო ქმედებასაქციელით გამოწვეული სიხარულის ცრემლებს ველარც კი მალავენ. ბატონი პარლამენტის თავმჯდომარე კი იმის მცდელობით, რომ დასმული პრობლემის ირგვლივ გაუთავებელ დავაში რაიმე კონსესუსს მიაღწიოს, სესიების მსვლელობისას შიგადაშიგ ერთობ საკამათო მოსაზრებების „გაჟღერებასაც“ აღარ ერიდება. მისი განმარტებით, არ არსებობენ კარგი და ცუდი მოსამართლენი, არსებობენ მხოლოდ კარგი და ცუდი სახელისუფლებო რეჟიმები, რომლებშიც ისინი თავიანთი საქმიანობით, შესაბამისად, კარგად ან ცუდად გამოიყურებიან. ამით პარლამენტის თავკაცი შეეცადა, მხარი აება ბიძინა ივანიშვილისთვის, რომელმაც უფრო ადრე ჩინჩალაძე-მურუსიძის უნამუსო მოსამართლეობა წინა რეჟიმის უნამუსობით ახსნა, რადგან ეს ფანდი არ გაუვიდა, ირაკლი კობახიძემ, როგორც უკვე ითქვა, არ დაიზარა და დახმარებისთვის ხელი ვენეციის კომისიისკენ გაიშვირა.

აქ მე დამებადა არცთუ უხერხული აზრი: რადგან ვენეციის კომისიას შევბედეთ და დახმარება ვთხოვეთ სამართალდაცვის საკითხთან დაკავშირებით, იქვე მეორე დახმარებაც ხომ არ გვეთხოვა? იმედია, ბატონი ბუკიკიო არ დაგვზარდება და ერთი ჩამოსვლით ორ კურდღელს დაგვაჭერინებს! ლაპარაკია სამხედრო სავალდებულო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის თაობაზე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის მიერ შემუშავებულ კანონპროექტზე, რომელმაც ოპოზიციის მხრიდან დიდი უკმაყოფილება და აურზაური გამოიწვია. პროექტის ავტორს, რომლის „დამსახურებაც“ პრეზერვატივებზე მისი პორტრეტის გავრცელებითაც გამოიხატა, მთავარ ბრალდებად ის წაუყენეს, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან მხოლოდ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა გათავისუფლება დანარჩენი კონფესიების მსახურთა დისკრიმინაციას გამოიწვევსო. ეს კი ყოვლად შეუთავსებელია ანტიდისკრიმინაციული კანონის მოთხოვნებთან, რომელიც საქართველომ სწორედ ჩვენი საზღვარგარეთელი კეთილისმყოფელების დიდი ზეწოლისა თუ „დახმარების“ წყალობით მიიღო.

ასეა, ხშირად სხვისი ჭკუითა და დახმარებით, საკუთარი საზოგადოების დაუკითხავად, ვღებულობთ კანონებს წყალქვეშა დინების ნაღმებით, რომლებიც სად და როდის აფეთქდებიან, არავინ უწყის. ეს მაშინ, როცა ნორმალურ ცივილიზებულ ქვეყანაში საზოგადოება უნდა წყვეტდეს ყველაფერს და ის ამბობდეს გადამწყვეტ სიტყვას. ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ სადღაც უცხოეთში გადაწყდება ჩვენი ბედი და ერთბაშად გვეშველება. ყველგან შეიძლება მოხდეს სასიკეთო ცვლილებები, ამერიკაშიც და ევროპაშიც, მაგრამ ჩვენთან იგივე „დახმარების პოლიტიკა“ გაგრძელდება, რომელიც რეალურ კეთილდღეობას ვერ მოგვიტანს. ამ „დახმარების“ ნაყოფი უკვე ვიგემეთ: რუსეთმა თუ ომით დაგვიპყრო, ევროპა-ამერიკამ „დახმარებით“ მოგვინარეკლა. პირველმა ტერიტორიის 20 პროცენტი წაგვგლიჯა, მეორემ — ხელისუფლების დამოუკიდებლობა. ამ გზით თუ ვიარეთ, ყოველთვის სხვათა კარნახის და დახმარების ხელშემყურე თუ დავრჩით, მერწმუნეთ, ვერც ქვეყნის წაქცეულ ეკონომიკას ამოვწევთ და ვერც ნაღდ დემოკრატიას და თავისუფლებას ვეზიარებით.

ოთარ ხუციშვილი

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო: „თანამშრომლობა საქართველოსთან“

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეზოლუცია — „თანამშრომლობა საქართველოსთან“ — მიიღო.

მათივე ინფორმაციით, რეზოლუცია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლაშა დარსალიამ წარადგინა. თავის გამოსვლაში მან საქართველოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე ისაუბრა. ლაშა დარსალიამ დელეგატებს მიაწოდა ინფორმაცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებასთან დაკავშირებით და საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფისა და უკანონო დაკავებების შემაშფოთებელ ტენდენციაზე ისაუბრა, რომლის უკანასკნელი ტრაგიკული მაგალითი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის, ირაკლი კვარაცხელიას გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტია. მან ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად გასულ წელს საბჭოს პირდაპირი მოწოდებისა, უმაღლესი კომისრის ოფისს არ ჰქონოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შესვლის საშუალება, საოკუპაციო ძალამ არ დაუშვა გაეროსა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მონიტორინგის შეღწევა ამ რეგიონებში. ქართული მხარის მიერ ინიცირებული რეზოლუციის განხილვისას, მხარდამჭერი განცხადებები გაკეთეს ავსტრალიის, დანიის, ჩეხეთისა და გაერთიანებული სამეფოს დელეგაციებმა და მოუწოდეს საბჭოს წევრებს რეზოლუციის მხარდაჭერისკენ.

„22 მარტს მიღებულ რეზოლუციაში, ადამიანის უფლებათა საბჭო კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. დოკუმენტში აღიარებულია საქართველოს მთავრობის ძალისხმევა ქვეყანაში დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა განმტკიცების კუთხით. ამასთან, საბჭო მიესალმება საქართველოს მთავრობის თანამშრომლობას გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა, რეგიონულ თუ საერთაშორისო მექანიზმებთან.

რეზოლუციაში ადამიანის უფლებათა საბჭო გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ეთნიკური ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოვლენილი სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის, სიცოცხლის უფლების დარღვევის, თავისუფლების აღკვეთის, უკანონო დაკავებებისა და გატაცებების, საკუთრების უფლებისა და ჯანდაცვის უფლების დარღვევის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მიზანმიმართული ნგრევის პრაქტიკის განახლებასთან დაკავშირებით. რეზოლუციაში, ადამიანის უფლებათა საბჭო ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების, სტაბილურობის, ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული საკითხების მიმართულებით, ხაზს უსვამს, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მნიშვნელობას, რომელიც შეიქმნა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების საფუძველზე. ამასთანავე, გამოთქმულია შეშფოთება, რომ იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები კვლავაც ვერ ახერხებენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნებას“, — ნათქვამია სამინისიტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დოკუმენტში გამოთქმულია შეშფოთება, რომ რეგიონულ და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებს არ ეძლევათ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შესვლის საშუალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეზოლუციაში არის მოწოდება — მოხდეს უმაღლესი კომისრის ოფისისა და მონიტორინგის სხვა მექანიზმების დაუყოვნებლივი შეღწევის უზრუნველყოფა. ამასთან, ადამიანის უფლებათა საბჭო, მიღებული რეზოლუციით ავალებს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, წარმოადგინოს ანგარიშები რეზოლუციაში ასახულ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭოს მომდევნო — 41-ე და 42-ე სესიებზე.

„ᲢᲐᲨᲢᲘ ᲒᲐᲢᲧᲓᲐ, ᲮᲛᲐ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ“!

ᲠᲣᲡᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲕᲐᲡᲐᲫᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ...

ᲐᲠᲐᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲕᲐᲡᲐᲫᲔᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ.

— ᲓᲘᲐᲮ, ᲕᲐᲡᲐᲫᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲑᲛᲐ, ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ Ე. წ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲫᲐᲚᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ. ᲕᲐᲡᲐᲫᲔ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ, ᲛᲐᲡ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ. ᲕᲐᲡᲐᲫᲔ ᲛᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲕᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲪ ᲨᲔᲓᲒᲐ“— ᲣᲧᲕᲔᲑᲐ „ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“ ᲬᲧᲐᲠᲝ.

ᲨᲔᲕᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲕᲐᲡᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲜᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲖᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔ, ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ“ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ.

ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 1987 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲘᲣᲠᲘ ᲚᲣᲟᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲕᲔᲕᲘᲗ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ ᲓᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ ᲩᲐᲣᲓᲒᲐ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ. 1991 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ“ ᲠᲣᲡᲣᲚ—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲝᲠᲓᲘᲜᲙᲐᲡ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. 1993 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲛᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲐ ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲝ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ „ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲝᲘᲪᲕᲐ. ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝᲓ ᲐᲛ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲨᲔᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲜᲔᲠ�გᲔᲢᲘᲙᲘᲗ, ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡ �გᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲘᲙᲘᲗ, ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ, ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝ ᲰᲝᲚ-ᲓᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ თავმჯდომარეა და უმსხვილესი აქციონერი — ფლობს აქციათა 64,189%-ს.

1997-1999 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲢᲕ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ, 2002 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲐᲠᲮᲨᲘ“. 2000 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝ �რუსეთის ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ 2001 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ — ᲐᲛᲐᲕᲔ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ; 2002 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ �პᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ, ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ.

2010 ᲬᲔᲚᲡ, ᲓᲡᲗ-ᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲤᲝᲠᲣᲛᲖᲔ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝ „ᲓᲡᲗ-ᲨᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲐᲓ“ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ �გᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲘ „ᲗᲐᲜᲐᲛᲔ�გᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲬᲚᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“.

2005 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝ „ᲤᲝᲠᲑᲡᲘᲡ“ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲐᲗᲔᲣᲚᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ. ᲛᲘᲡᲛᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲛ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠ ᲜᲘᲨᲜᲣᲚᲡ 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲓᲐ 10,3 ᲛᲚᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ.

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

2014 ᲬᲚᲘᲡ Ა�პᲠᲘᲚᲨᲘ „ᲑᲐᲨᲜᲔᲤᲢᲘᲡ“ ᲐᲥᲪᲘᲐᲗᲐ ᲛᲘᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲦᲘᲫᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲐᲛ ᲜᲐᲕᲗᲝᲛᲑᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲪ“ ᲤᲘᲒᲣᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ. 2016 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ „ᲑᲐᲨᲜᲔᲤᲢᲘ“ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲑᲐᲨᲙᲘᲠᲔᲗᲨᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ. „ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ“ „ᲑᲐᲨᲜᲔᲤᲢᲘᲡ“ ᲐᲥᲪᲘᲐᲗᲐ 81,67% ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲡ.

ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲤᲚᲝᲑᲡ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲤᲝᲜᲓ „Redline Capital Management“-Ს, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲛᲝᲦᲕᲐ�წᲔᲝᲑᲡ.

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ „ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲐᲡ ᲮᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ“.

„ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲔᲛᲝᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲣᲨᲔᲓᲔᲒᲝᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲐᲡᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲪ. ᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲠᲝᲠᲣᲡᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲰᲐᲠᲯᲔᲑᲔᲜ, ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲣᲨᲔᲓᲔᲒᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲦᲘᲐᲓ ᲞᲠᲝᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ �გᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ“ — �გᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ „ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲡ“ ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲛᲐ. ᲛᲘᲡᲘᲕᲔ თქმით, „ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ“.

„ᲘᲨᲕᲔᲗᲘ ᲤᲣᲚᲘ — ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲮᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲚᲐᲓ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ“ — ᲓᲐᲡᲫᲔᲜᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲡ

ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝ�გᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲜ�გᲔᲜᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐ ᲨᲔᲜ�გᲔᲜᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲣᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ.

ᲨᲡᲡ-ᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ 1021 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ �გᲐᲔᲛ�გᲖᲐᲕ�რა, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ 130 ᲛᲐᲗ�გᲐᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲨᲔᲜ�გᲔᲜᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ, ᲣᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜ�გᲔᲗᲨᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ.

ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲜᲗᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝ�გᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲣᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜ�გᲔᲗᲨᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ. ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜ�გᲔᲗᲨᲘ 1445 ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ �გᲐᲔᲛ�გᲖᲐᲕᲠᲐ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ 37 ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ.

ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ �გᲐᲔᲛ�გᲖᲐᲕᲠᲐ 2594, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 34-ᲡᲐ;
ᲙᲕᲘ�პᲠᲝᲡᲨᲘ �გᲐᲔᲛ�გᲖᲐᲕᲠᲐ 830, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 33-ᲡᲐ;
�პᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ �გᲐᲔᲛ�გᲖᲐᲕᲠᲐ 3198, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 30-ᲡᲐ;
ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ �გᲐᲔᲛ�გᲖᲐᲕᲠᲐ 1334, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 25-ᲡᲐ;
�გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ �გᲐᲔᲛ�გᲖᲐᲕᲠᲐ 5112, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 20-ᲡᲐ;
ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ ᲗᲐᲔᲛᲗᲖᲐᲕᲠᲐ 1613, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 20-ᲡᲐ;
ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲨᲘ ᲗᲐᲔᲛᲗᲖᲐᲕᲠᲐ 935, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 11-ᲡᲐ;
ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲗᲐᲔᲛᲗᲖᲐᲕᲠᲐ 2994, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 7-ᲡᲐ;
ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲨᲘ ᲗᲐᲔᲛᲗᲖᲐᲕᲠᲐ 494, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 6-ᲡᲐ;
ᲩᲔᲮᲗᲨᲘ ᲗᲐᲔᲛᲗᲖᲐᲕᲠᲐ 1272, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ 4-ᲡᲐ;
**ᲚᲘᲔᲗᲣᲕᲐᲨᲘ ᲗᲐᲔᲛᲗ

ვის და რატომ სძულს ებრაელები?

„მე ბრალს ვდებ“, – ასე იწყება ემილ ზოლას ღია წერილი, რომელშიც ის საფრანგეთის პრეზიდენტს მიმართავს და არმიას ბრალს სდებს ებრაელი ოფიცრის ალფრედ დრეიფუსის სახელმწიფო ღალატში უსაფუძვლოდ დადანაშაულებაში. მეოცე საუკუნის მიჯნაზე ეს სასამართლო პროცესი და ბრალდება დრეიფუსის წინააღმდეგ ებრაელების მიმართ გავრცელებული ცრურწმენების ნაწილი იყო, რომ ისინი სახელმწიფოს ერთგულები არ იყვნენ.

ეს ცრუ შეხედულება ებრაელებზე ეპიზოდური არაა. ებრაელი ხალხის მიმართ მტრულმა დამოკიდებულებამ, ანუ ანტისემიტიზმმა, კულმინაციას ჰოლოკოსტის დროს მიაღწია: მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ექვსი მილიონი ებრაელი მხოლოდ იმ მიზეზით მოკლეს, რომ ისინი ებრაელები იყვნენ.

ჰოლოკოსტის მძიმე მემკვიდრეობისა და ცივილიზებული სამყაროს მიერ მისი დაგმობის მიუხედავად, ანტისემიტიზმი არ გამქრალა. ებრაელების მიმართ დღეს ხშირად გაისმის ბრალდებები, რომ ისინი აკონტროლებენ მსოფლიო ფინანსებს, მედიას და არიან გლობალური შეთქმულების მონაწილენი.

დღეს ძალადობა და აგრესიული რიტორიკა ებრაელების წინააღმდეგ ისეთ ქვეყნებშიც მატულობს, როგორიცაა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. **„ხშირად ამბობენ, რომ ებრაელები მაღაროებში კანარის ჩიტები არიან, ისინი არიან საზოგადოების დაავადებების ბარომეტრი“,** – თქვა ბენჟამინ ჰადადმა „ატლანტიკური საბჭოდან“. **„ჩვენს საზოგადოებებზე დღეს ბევრი ფენომენი ახდენს გავლენას: შეთქმულების თეორიების ზრდა, ანტიელიტური მოძრაობები და პოპულიზმის ტალღა, და ეს ყველაფერი ერთმანეთთან იკვეთება“,** – ამბობს ის და მიუთითებს, რომ „ეს რამდენიმე ახალი ფენომენია, რომელიც ძველ სიძულვილს მოიცავს“.

საფრანგეთში, 2014 წლის შემდეგ განსაკუთრებით იმატა ებრაელების წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევებმა. ფრანგი ავტორი მარკ ვაისმანი, „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან საუბარში ამბობს, რომ საფრანგეთში რადიკალ მემარჯვენე, მემარცხენე და ისლამისტ ჯგუფებს შორის „ებრაელების წინააღმდეგ სიძულვილის თანხვედრას ვხვდებით“.

„2014 წელს ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა, მემარჯვენე ჯგუფების საპროტესტო გამოსვლაზე საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის წინააღმდეგ პირველად გაისმა ისეთი ანტისემიტური სლოგანები, რომლებსაც 30-იან წლებში გაიგონებდით – „ებრაელებო, საფრანგეთი თქვენი არაა,“ – ამბობს ვაისმანი. **„ამის შემდეგ, მუსლიმებით დასახლებულ გარეუბნებში ანტისემიტური ინციდენტების რაოდენობა გაიზარდა. ამ ორ განვითარებას ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდა, თუმცა დინამიკა საერთო იყო“,** – ამბობს ის. **„დინამიკა ამის შემდეგ არ შეცვლილა, 2014 წლის დემონსტრაცია წინ უსწრებს დღეს მიმდინარე ყვითელი ჟილეტების მოძრაობის დემონსტრაციებს. ანტისემიტურმა ინციდენტებმა ამ წელს გარეუბნებში 800-ს მიაღწია“,** – თქვა მან.

2018 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ანტისემიტური ინციდენტების რაოდენობა საფრანგეთში 74 პროცენტით გაიზარდა. ეს ნაწილობრივ ყვითელი ჟილეტების მოძრაობას უკავშირდება, რომლის ანტიგლობალისტური განწყობები თანხვედრაშია და იმეორებს შეთქმულების თეორიას, რომ ებრაელები საერთაშორისო კაპიტალს და ბანკებს აკონტროლებენ. **„სიძულვილი იკვეთება რადიკალ მემარჯვენე, მემარცხენე და ისლამისტ ჯგუფებს შორის“,** – ამბობს ბენჟამინ ჰადადი, ატლანტიკური საბჭოდან. **„მათ შორის განსხვავებები არსებობს, თუმცა ჩვენ ვხედავთ მსგავს განცხადებებს, მსგავს ბრაზს და ძალადობას და ეს ებრაელების წინააღმდეგაა მიმართული. საინტერესოა, რომ საფრანგეთში სამივე მათგანი გვხვდება“,** – ამბობს ის.

თუმცა, საფრანგეთი ერთადერთი ქვეყანა არაა, სადაც ანტისემიტურმა განწყობებმა მოიმატა. დიდ ბრიტანეთში შარშან ებრაელების წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებული ინციდენტების რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი აღინუსხა. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჯერემი კორბინი ანტისემიტური განცხადებების გამო ყურადღების ცენტრში ბევრჯერ მოექცა. ამ სიძულვილს სხვადასხვა **„ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით ვხვდებით. დიდ ბრიტანეთში რადიკალი მემარცხენეების და ანტისიონიზმის ზრდას ვხედავთ, რომელმაც ლეიბორისტული პარტიის ეშელონებში შეაღწია. მსგავსი საუბრები მიდის შეერთებულ შტატებშიც. ეს დღეს დასავლური საზოგადოების დაავადებების მაჩვენებელია“,** – ამბობს ის.

57 პროცენტით მეტი ანტისემიტური ინციდენტი აღირიცხა 2018 წელს ამერიკაშიც (ანტიდიფამაციის ლიგის მონაცემებით). ოქტომბერში, მემარჯვენე ექსტრემისტმა პიტსბურგში „სიცოცხლის ხის“ სინაგოგაში, სიძულვილის საფუძველზე, 11 ადამიანი მოკლა და 7 დაჭრა. ეს შეერთებულ შტატებში ებრაელებზე ყველაზე სისხლიანი თავდასხმა იყო.

ვაშინგტონში ანტისემიტიზმზე საუბარი კიდევ ერთხელ განახლდა ახალწვეული დემოკრატი კონგრესმენის ილჰამ ომარის მიერ ამერიკელ ებრაელებზე და ისრაელის მიმართ ვაშინგტონის მხარდაჭერაზე გაკეთებული განცხადებების შემდეგ. 2012 წელს ომარმა „ტვიტერზე“ დაწერა, რომ „ისრაელს მსოფლიო ჰიპნოზის ქვეშ ჰყავს მოქცეული“. კონგრესში თანამდებობის დაკავებასთან ერთად, იანვარში მან ამ განცხადებისთვის ბოდიში მოიხადა. თუმცა, თებერვალში ის კიდევ ერთხელ მოექცა კრიტიკის ქარცეცხლში, როდესაც თქვა, რომ ამერიკის კონგრესი ისრაელს მხარს „ბენჯამენების გამო“ უჭერს (რაც ხშირად 100-დოლარიან კუპიურას გულისხმობს) იმ მითითებით, რომ ისრაელის მომხრე ლობი ამერიკელ პოლიტიკოსებს ფულს უხდის მხარდაჭერის შესანარჩუნებლად.

ამის შემდეგ ომარმა კიდევ ერთხელ მოიხადა ბოდიში, თუმცა ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ერთ-ერთ გამოსვლაში ცდილობდა, აეხსნა, რომ ის და მისი კოლეგა, კონგრესმენი რაშიდა ტლაიბი, კრიტიკის ქარცეცხლში მათი რელიგიური კუთვნილების გამო ხვდებიან. მან თქვა, რომ **„ყველაფერი, რასაც ჩვენ ვამბობთ ისრაელის შესახებ, ანტისემიტურად აღიქმება იმის გამო, რომ ჩვენ მუსლიმები ვართ“.** თუმცა, მან იქვე დასძინა: **„მე მინდა, ამ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ გავლენაზე ვისაუბრო, რომლის მიხედვითაც უცხო ქვეყნის ერთგულება მისაღებია“.** პასუხად, დემოკრატიულმა პარტიამ რეზოლუცია მიიღო სიძულვილის წინააღმდეგ, რომლის მიზანიც წარმომადგენელთა პალატის დემოკრატი წევრის კომენტარების არაპირდაპირი დაგმობა იყო.

ომარს იმ მიზეზით აკრიტიკებდნენ, რომ ის ემთხვევა შეთქმულების თეორიებს ებრაელების არალოიალურობისა და არასანდოობის შესახებ, მსგავსად დრეიფუსის შემთხვევისა.

შეთქმულების ეს თეორიები საფუძველს რუსეთის იმპერიაში იღებს. ანტისემიტიზმის ერთ-ერთი „საბაზისო ნაშრომი“ „სიონის ბრძენთა პროტოკოლია“. ის მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და ბრალს სდებს ებრაელებს ფინანსური ინტერესების გასატარებლად დასავლური ქრისტიანული საზოგადოებებისთვის ძირის გამოთხრაში. ეს მოსაზრება მოგვიანებით ნაცისტებმა აიტაცეს.

განსხვავებით რუსეთის იმპერიის სხვა ერთეულებისგან (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი), საქართველოში ებრაელების წინააღმდეგ ძალადობა არ მომხდარა. სწორედ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ქვეყნებში იღებს სათავეს ებრაელთა დარბევა, მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, ე.წ. „პოგრომები“, რომლებიც ებრაელების წინააღმდეგ კოლექტიური ძალადობის აღსანიშნავ ზოგად ტერმინად გადაიქცა. დღემდე დავის საკითხია უკრაინელ ნაციონალისტთა მოძრაობების და მათ ლიდერების, მათ შორის სიმონ პეტლიურასა და სტეფან ბანდერას როლი დასავლეთ უკრაინაში ებრაელთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში.

ისტორიის გათვალისწინებით პარადოქსია, რომ უკრაინელთა მხოლოდ 5 პროცენტს არ სურს ებრაელები თანამოქალაქეებად, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი საქართველოშიც კი 12 პროცენტია.

საქართველოში დღეს სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ებრაული თემი 6000 ადამიანს არ აღემატება.

რა განაპირობებს ანტისემიტიზმს მოსახლეობის მცირე ნაწილში, მაშინ როდესაც ისრაელთან მეგობრობით ქართველების უმეტესობა ამაყობს? როგორც ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკლევარი ემანუელ დრეიფუსი აღნიშნავს, ეს, სავარაუდოდ, ნაციონალისტურ ჯგუფებს უკავშირდება, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების და იმიგრანტების წინააღმდეგ გამოდიან. ალბათ, შორს არ წავალთ, თუ ვიტყვით, ეს წრე იმ ადამიანებს მოიცავს, რომლებიც თვლიან, რომ ქართულ და მსოფლიო პოლიტიკას ებრაელი ჯორჯ სოროსი აკონტროლებს.

„ჩემი აზრით, პიუს ეს მონაცემები უფრო მეტად ულტრა-მემარჯვენე ნაციონალიზმის გამოხატულებაა, ვიდრე ანტისემიტიზმის ზრდის“, – ამბობს ემანუელ დრეიფუსი. **„ისტორიული პერსპექტივა, ის ფაქტი, რომ ებრაელები საქართველოში ყოველთვის ცხოვრობდნენ, მათ საქართველოს სამეფოს შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს და ჰოლოკოსტთან დაკავშირებული მოვლენები საქართველოს ტერიტორიაზე არასდროს მომხდარა, ხსნის თუ რატომაა საქართველოსთვის ანტისემიტიზმი ასე უცხო“,** – უთხრა მან „ამერიკის ხმას“.

> საქართველოში 26 საუკუნის მეგობრობაზე საჯარო და სასულიერო პირები ხშირად ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა ებრაელებზე საუბრისას მაინც მოისმენთ გავრცელებულ სტერეოტიპებს, როცა მათ მოიხსენიებენ, როგორც გაქნილ, ფულით დაინტერესებულ და „აფერისტ“ ადამიანებად. თეოლოგი ბექა მინდიაშვილი ფიქრობს, რომ ამის მიზეზი ეთნოცენტრიზმია – საკუთარი კულტურის უპირატესობის განცდა და ნეგატიური დამოკიდებულება სხვების მიმართ.

„ეს არ ეხება მარტო ებრაელებს... ზოგადად პრობლემაა ეთნიკური დახურულობა, რომლის მიზეზიც ტრადიციული სტერეოტიპებია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან დაკავშირებით, მათ შორის, ანტისემიტური სტერეოტიპებიც“, – ამბობს ის. **„არ არის შემთხვევითი ის, რომ საქართველოში მცხოვრები განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების ბევრი წარმომადგენელი თვითონ ცდილობდა ასიმილაციას, საკუთარი წარმომავლობის დაფარვას გვარის გადაკეთებით, – განსაკუთრებით ამ მხრივ სომხები და ებრაელები გამოირჩეოდნენ, რადგან სხვა ეთნიკური ჯგუფები მეორეხარისხოვან მოქალაქეებად იყვნენ აღქმული“,** – ამბობს მინდიაშვილი. ის დასძენს, რომ ამ სტერეოტიპების დასაძლევად გამართული განათლების სისტემაა საჭირო.

1898 წელს დრეიფუსის დაცვისთვის ემილ ზოლა სასამართლომ ცილისწამებაში ცნო დამნაშავედ. დრეიფუსის საქმე დღემდე საფრანგეთის ისტორიის შავი ლაქაა და რჩება უსამართლობის უნივერსალურ მაგალითად.

ანი ჩხიკვაძე

თებერვალში შემოწმებული 760 პირიდან, 528 სხვადასხვა ტიპის ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა

თებერვალში, საქართველოს მასშტაბით, ნარკოლოგიური შემოწმება 760 პირს ჩაუტარდა, რომელთაგან 528 სხვადასხვა ტიპის ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. შს სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, შემოწმებამ 528 პირზე დადებითი შედეგი აჩვენა.

ამავე სტატისტიკის მიხედვით, შემოწმებულთა შორის იყო 17 წლამდე 6 პირი, რომელთაგან 5 პირზე ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

დადებითი შედეგების მქონდე პირთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით ასეთია:

17 წლამდე: 5 პირი – 4 მამრობითი, 1 მდედრობითი;

17-24 წლამდე: 103 პირი – 101 მამრობითი, 2 მდედრობითი;

25-44 წლამდე: 328 პირი – 325 მამრობითი, 3 მდედრობითი;

45-60 წლამდე: 92 პირი – 91 მამრობითი, 1 მდედრობითი;

დადებითი შედეგების მქონე პირთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

თბილისი – 214; იმერეთი – 19; აჭარა – 24, კახეთი – 12; გურია – 18; სამეგრელო – 114; სამცხე-ჯავახეთი – 67; ქვემო ქართლი – 42; შიდა ქართლი – 18.

ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ „ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ“

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲫᲔ: „ᲓᲔᲓᲐᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, ᲠᲐᲘᲛᲔ „ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ“ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲩᲘᲐ“



ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ბალეტის გამოჩენილ მოცეკვავეთა შორის რუსეთში მოღვაწე ჩვენს სახელოვან თანამემამულეს **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲫᲔᲡ** მართლაც რომ გამორჩეული ადგილი უკავია. თავი დავანებოთ იმ გარემოებას, რომ ბრწყინვალე ვახტანგ ჭაბუკიანის შემდეგ ბალეტის არც ერთ ქართველ მოცეკვავე მამაკაცს ისეთი დიდებისთვის არ მიუღწევია, სიმაღლეები არ დაუპყრია და ისეთი საქვეყნო აღიარება არ ჰქონია, როგორც მას.

ათასნაირი ქვენა დინებებითა და ბოლმიანი ინტრიგების წყალქვეშა თუ ხილული მეჩჩებით აღსავსე ბრწყინვალე კარიერის შემდეგ, რომელმაც მსოფლიოში სახელგანთქმული მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე გაიარა, ნიკოლოზ ცისკარიძეს შეეძლო, როგორც იტყვიან, „ფეხი ფეხზე შემოდებულს“ ვაგანოვის სახელობის რუსული კლასიკური ბალეტის აკადემიის რექტორის უდარდელი ცხოვრებით დამტკბარიყო, მაგრამ მშფოთვარე და მოუსვენარი, მუდამ სიახლეთა ძიებაში მყოფი ბუნება მოსვენებას უკარგავს და ამის გაკეთების საშუალებას არ აძლევს.

მისი თქმით, მოსკოვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ორჯერ არ მიიღეს, რისი მიზეზიც ადგილების უქონლობა იყო.

— იმ წლების კატასტროფა იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო საბალეტო კადრებს წარმოუდგენლად დიდი ოდენობით ამზადებდნენ სოციალისტური ქვეყნებისთვის, მათ შორის ისეთებისთვისაც, სადაც საბალეტო თეატრები არც კი არსებობდა — მაგალითად, ვიეტნამისთვის ან მონღოლეთისთვის. სსრ კავშირის რესპუბლიკებისთვის კი კვოტები იყო დაწესებული. კერძოდ, საქართველოსთვის ის მხოლოდ სამ კაცს წარმოადგენდა და, ცხადია, ყველა ადგილი „ბლატიანი“ ბავშვებით იყო დაკავებული, — ამბობს ნიკოლოზ ცისკარიძე. — ჩემი იდეალური მონაცემები კი ამ სქემაში არანაირად არ ჯდებოდა, მაგრამ, ჩემდა ბედად, სწავლების მესამე წელს რამდენიმე კაცი გარიცხეს და ერთ-ერთ გამოთავისუფლებულ ადგილზე მე ამიყვანეს.

ისე კი, დედაჩემი წლების მანძილზე ლოცულობდა, რომ ბალეტზე უფრო „სერიოზული“ პროფესია ამერჩია, მაგრამ ჩემი მიზანი დიდი თეატრი იყო. ჯერ კიდევ მაშინ თავს პირობა მივეცი, რომ ამ თეატრში მთავარი კაცი მე ვიქნებოდი. ასეც გამოვიდა, თუმცა კი, იყო გარკვეული მომენტი, როცა სწავლა აღარ მინდოდა, ერთი სული მქონდა, თანატოლების დარად მეც ცხოვრების ყველა სიამით დავმტკბარიყავი. მაგრამ, დედაჩემთან მოლაპარაკება ასე ადვილი საქმე არ იყო: იგი მოითხოვდა, რომ ყოველთვის სხვებზე უკეთესი ვყოფილიყავი, რომ ყველაფერი მცოდნოდა, ყველაფერი წაკითხული მქონოდა, რომ დიპლომი აუცილებლად წითელი უნდა ყოფილიყო.

ამიტომაც ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ არც მეგობრების ხმაურიან თავყრილობაში ვიღებდი მონაწილეობას, არც ყმაწვილკაცური გიჟობები მქონია რამე: მე ან სარეპეტიციო დარბაზში ვიყავი, ან ვისვენებდი, ანდა თეატრებსა და მუზეუმებში დავრბოდი — ყველაფერ ამაზე ნამდვილი შერეკილი ვიყავი!

ერთხელ ნინო ანანიაშვილმა თქვა: „უსამართლობაა, რომ ბალეტის მოცეკვავეები ასე ადრეულ ასაკში გავდივართ პენსიაზე. ჩვენ ხომ ჯერ ისევ გაფურჩქვნის ხანაში ვიმყოფებით! არადა, ყველაფერი უკვე უნდა დავასრულოთ!“ მაგრამ, მე ყველაფერი იმდენ ხანს მქონდა, რამდენიც საჭიროა. დიახ, ჩემი უნარით მე სხვებისგან განვსხვავდებოდი. საერთოდ კი, კლასიკური ბალეტისთვის გამოსადეგი ხალხი მსოფლიოში ძალიან ცოტაა. ჩვენ ყველაფერს ადვილად ვაკეთებთ, სწრაფად ვიმახსოვრებთ, ძალიან გამძლენი ვართ და უზარმაზარი დატვირთვების შემდეგ ფორმაში მალე ვდგებით.

ჰოდა, როცა ვცეკვავდი, დარბაზში მყოფ მაყურებლებს ეგონათ — მართლა დაფრინავსო! ნამდვილ მსახიობში მთავარი ხომ სიმსუბუქეა და მე ეს მქონდა, ხოლო, როცა ვიგრძენი, რომ სიმსუბუქეს ვკარგავდი, საჭირო ხდებოდა მისი იმიტირება, მივხვდი — წასვლის დროა! რადგან მიმაჩნია, რომ ბალეტი სინორჩის ხელოვნებაა! არ მსურს, მომჩვარულ სხეულებს ვუცქირო! სიბერე ხომ უმალ ჩანს, განსაკუთრებით ჩვენს დროში. თანამედროვე თაობა 60-80-იანელებთან შედარებით შეუდარებლად მეტს მუშაობს. ამიტომაცაა, რომ ორგანიზმი ძალიან მალე ცვდება.

რაც შეეხება ბავშვობის გახსენებებს, 10 წლამდე ჩემი დაბადების დღე — 31 დეკემბერი — ჩემთვის დღესასწაული იყო, მერე კი, 40 წლის ასაკამდე ახალი წელი ჩემთვის არ ყოფილა. 40 წლისამ პირველად ვიზეიმე ახალი წელი სუფრასთან და არა სცენაზე! **(ნიკოლოზ ცისკარიძეს ბალეტ „მაკნატუნაში“ უფლისწულის როლი101-ჯერ აქვს შესრულებული — რედ.**).

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ პეტრე ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ ახალი წლის სიმბოლოდ ჯორჯ ბალანჩინის წყალობით გახდა. ეს სპექტაკლი ამერიკის შეერთებულ შტატებში მან 1954 წელს დადგა და, უბრალოდ, კი არ გაამართლა, არამედ ამ დადგმას მოჰყვა ნამდვილი ბუმი, მთელ მსოფლიოში უამრავი ანალოგიური წარმოდგენა დაიდგა. მე-20 საუკუნის მიწურულის „მაკნატუნა“ ფინანსურად ყველაზე მომგებიანი სპექტაკლი გახდა. მე ვიცნობდი ამერიკელ მსახიობებს, ვინც „მაკნატუნაში“ მხოლოდ შობის დღეებში ცეკვავდნენ და შემდეგ მთელი წელი ამაში აღებული ჰონორარით ცხოვრობდნენ...

მოამზადა
ᲜᲘᲜᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲛ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს პავლე სადუნიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** პავლე სადუნიშვილი (პ/ნ 38001006896), თბილისი, აბაშვილის 3, კორპ. 10, ბინა 73.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, მოსკოვის გამზირი, კორპ. 36, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 01.19.34.003.007.01.009 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 50078.75 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 28 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP59203719;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 592037
6. **მოვალე:** პავლე სადუნიშვილი (პ/ნ 38001006896), თბილისი, აბაშვილის 3, კორპ. 10, ბინა 73.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP59203719; ლოტის ნომერი: 592037).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 15 აპრილის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ამირან აბესაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ამირან აბესაძე (პ/ნ 60001130066), ქუთაისი, ახალგაზრდობის მე-9 შეს. №9.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქუთაისი, მაიაკოვსკის სახელობის ხეივანი, მე-9 შეს. №9 (ყოფ. ახალგაზრდობის) (საკადასტრო კოდი: 01.19.34.003.007.01.009 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18003 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 28 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP59204819;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 592048
6. **მოვალე:** ამირან აბესაძე (პ/ნ 60001130066), ქუთაისი, ახალგაზრდობის მე-9 შეს. №9; გიორგი მუკბანიანი (პ/ნ 53001055676), წყალტუბო, ს. მაღლაკი, მე-13 ქ. №8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP59204819; ლოტის ნომერი: 592048).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 15 აპრილის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.



განათლების სამინისტრო ხუთი ლიტერატურული ჟურნალის გამოცემას დააფინანსებს

საკონკურსო კომისიამ გამოავლინა ჟურნალები, რომლებსაც განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო 2019 წელს დააფინანსებს.

ინფორმაციას მწერალთა სახლი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ეს ჟურნალებია: საბავშვო ლიტერატურული ჟურნალები - „დილა“ (25,000 ლარი) და „შოკოლიტი“ (25,000 ლარი).

ლიტერატურული ჟურნალები – „ცისკარი“ (35,000 ლარი), „არილი“(48,000 ლარი) და „ახალი საუნჯე“(49,000 ლარი).

კონკურსი ლიტერატურული ჟურნალებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად მწერალთა სახლმა ამა წლის 25 თებერვალს გამოაცხადა. სულ შემოვიდა ხუთი განაცხადი. საბავშვო ჟურნალების კონკურსზე წარდგენილი იყო ორი ჟურნალი: „დილა“ და „შოკოლიტი“. ლიტერატურული ჟურნალების კონკურსზე კი სამი ჟურნალი: „არილი“, „ცისკარი“ და „ახალი საუნჯე“.

რა მოცულობის მობილურ ინტერნეტს მოვიხმართ?

კომუნიკაციების ეროვნული კომისია საზოგადოების ინფორმირებულობას განაგრძობს. უწყებამ ამჯერად გამოითვალა თუ რა მოცულობის მობილურ ინტერნეტს მოიხმარს საშუალოდ ერთი მომხმარებელი საქართველოში.

2019 წლის იანვრის მონაცემებმა აჩვენა, რომ საქართველოში ერთი აბონენტი თვეში საშუალოდ 2.36 GB მობილურ ინტერნეტს მოიხმარს, ხოლო ტელეფონზე საუბარს 166 წუთს უთმობს.

პარალელურად 20 მარტს ცნობილი გახდა, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით, ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმი აამუშავა და ინტერნეტის ხარისხის გადასამოწმებლად სპეციალური ვებგვერდი შექმნა.

მანამდე კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გამოითვალა რამდენი SMS-ი გაგზავნეს საქართველოში 2019 წლის იანვარში, ამავე წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ასევე დაინტერესდა 2018 წლის განმავლობაში, ვინ რომელი თაობის მობილურ ინტერნეტს მოიხმარდა, გამოითვალა და გამოაქვეყნა ინფორმაცია დღეში რამდენ საათს უყურებენ ტელევიზორს საქართველოში. ასევე ცნობილი გახდა მობილურ ოპერატორებს შორის პორტირებული აბონენტების რაოდენობაც.

დანართი №1 (6 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2019 წლის „25“ მარტის
№ 01-01-3/ 119 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N 64	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	30 000 m^3	503,00	350,00
2	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის I ჩიხი, N11	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	15 000 m^3	252,00	300,00
3	ქ.ბათუმი, ოპიზრების ქ.N97	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	40 000 m^3	671,00	400,00
4	ქობულეთი, კლდიაშვილის ქ.N2	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	20 000 m^3	336,00	300,00
5	ქობულეთი, რუსთაველის ქ.N172	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	1 500 m^3	26,00	210,00
6	ქ.ბათუმი, კახაბრის ქ.N36	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	25 500 m^3	429,00	300,00
7	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილიN 175	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	3 000 m^3	51.00	220,00
	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის		ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს		
			დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).		

			ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.				
8	ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ.კინტრიშისა და მდ.კინკიშას მიმდებარე ტერიტორია	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება ჩამოსხმის მიზნით	P_2	5 წელი	5 475 $მ^3$	10 000,00	2 200,00
	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის		ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული)ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ პირს,				
			რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვესა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და შესაბამისად აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაუშვას მიწისქვესა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); თ) ლიცენზიანტმა უნდა განახორციელოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებეტზე,ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე; ი) ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის ვადაში მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს წყლის მარაგების დათვლა და შესაბამის ორგანოებში დასამტკიცებლად წარდგენა; კ) უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ლ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.				
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება			აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო				
საიდენტიფიკაციო ნომერი			245429200				
მისამართი/ტელეფონი			ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10				
სარგებლობის ლიცენზიის სახე			სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია				
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი			აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 28 მარტიდან დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 30 აპრილს დღის 18.00 საათზე				
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი			ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 30 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 30 აპრილს დღის 18.00 საათზე				
სხვა მონაცემები			აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში				

მალხაზ კობაურს უვადო პატიმრობა მიესაჯა

სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულ მალხაზ კობაურს უვადო პატიმრობა მიესაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლემ გუშინ გამოაცხადა.

მკვლელობაში ბრალდებულ მალხაზ კობაურის საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავდნენ. 12-მა ნაფიცმა მსაჯულმა მალხაზ კობაურს ვერდიქტი 25 მარტს გამოუტანა. მსაჯულებმა მალხაზ კობაური დამნაშვედ ცნეს – გაუპატიურებაში, განზრახ მკვლელობაში განსაკუთრებული სისასტიკით, ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობაში. რაც შეეხება, კიდევ ერთ ბრალდებას, დანაშაულის შეუტყობინებლობას, მსაჯულებმა გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანეს.

სასჯელი სამართლიანია, სმიტების ოჯახი სამუდამო პატიმრობას უჭერდა მხარს!

ამერიკის შეერთებული შტატების კონსული ჯენეთ რებერი სამუდამო პატიმრობის შეფარდებას „სამართლიან გადაწყვეტილებად“ აფასებს.

„გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ნაფიც მსაჯულებს, მოსამართლეს, სასამართლოს, ყველა იმ ხალხს, ვინც ამ საქმეზე მუშაობდა. ძალიან მჭიდროდ ვაკვირდებოდით ამ საქმეს, გვქონდა კომუნიკაცია მსხვერპლთა ოჯახთან. მტკიცებულებები არ ტოვებს სივრცეს რაიმე ეჭვისთვის. სმიტების ოჯახის წევრები სამუდამო სასჯელის გამოტანას უჭერდნენ მხარს. ეს იყო სამართლიანი სასამართლო და სასჯელიც სამართლიანია“, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კონსულმა.

ისევ მოზარდის ცულლუტობა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა დეპუტატის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ხელახლა გავრცელებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინსიტრომ უკვე დააკავა პირი, რომელმაც აღნიშნული კადრები ინტერნეტში ატვირთა. მინისტრის მოადგილის თქმით, დაკავებული მოზარდი დანაშაულს აღიარებს.

◎ ლეგიონერი

შენგელია დაგვიფასეს

ესპანურმა „ბასკონიამ“ ფანებს შორის სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიზანი კლუბის ისტორიაში ევროლიგის მონაწილე კალათბურთელთაგან 12 საუკეთესოს დასახელება იყო. რჩეულთა შორის ბასკონიელთა ამჟამინდელი კაპიტანი თორნიკე შენგელიაც მოხვდა, რომელიც სპეციალურ პრეზენტაციასაც დაესწრო.

გამოკითხვის ორგანიზატორი ლუდის ადგილობრივი კომპანია იყო, რომელმაც 12 საუკეთესო მოთამაშის გამოსახულებით სპეციალური სერია გამოუშვა და მას ევროლიგის ოთხთა ფინალისთვის გაყიდის. შეგახსენებთ, რომ მომავალ ტურნირს სწორედ ბასკთა „ფერნანდო ბუესა არენა“ 17-19 მაისს უმასპინძლებს. აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობა 3 649 ადამიანმა მიიღო, რომელთაც საუკეთესოები 103 კალათბურთელიდან უნდა შეერჩიათ. საბოლოოდ თორმეტეულმა ასეთი სახე მიიღო:

ლუის სკოლა, ანდრეს ნოჩიონი, პაბლო პრიჯიონი, ელმერ ბენეტი, იგორ რაკოჩევიჩი, ტიაგო სპლიტერი, თორნიკე შენგელია, არვიდას მასიაუსკასი, მირზა ტელეტოვიჩი, იოანის ბურუსისი, ხოსე მანუელ კალდერონი და მარსელინიო უერტასი.

როგორც ცნობილია, ევროლიგის მიმდინარე გათამაშებაში, რეგულარული სეზონის დასრულებამდე 2 ტურით ადრე, „ბასკონია“ 15 მოგებითა და 13 მარცხით მე-6 ადგილზეა და საპლეიოფო რვეულში მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

შენგელიას გუნდი 29 მარტს თურქულ „ანადოლუ ეფესს“ უმასპინძლებს, 4 აპრილს კი მოსკოვში ცსკა-სთან შერკინება ელის. დავძენთ, რომ თორნიკემ მძიმე ტრავმის მერე ინდივიდუალური ვარჯიში უკვე განაახლა და სავარაუდოა, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში ესპანური გუნდის დახმარებას შეძლებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ დებულების თანახმად

თუშიშვილი დაისაჯა

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გურამ თუშიშვილი თბილისის გრან პრის გამოტოვებს. ქართველი მძიმეწონოსანი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის დებულების დარღვევის გამო ორთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

„ამის მიზეზი გახდა გურამ თუშიშვილის მონაწილეობა ყაზახეთში შარშან გამართულ კურაშის მსოფლიოს ჩემპიონატზე. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ახალი დებულების თანახმად, ძიუდოისტებს, რომლებიც არიან საერთაშორისო რეიტინგში, ეკრძალებათ სპორტის სხვა ძალისმიერ სახეობებში მონაწილეობა. თუშიშვილმა ორთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რომლის ათვლა 25 მარტიდან დაიწყო“ — დაწერა გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ფეისბუქ-გვერდმა.

გურამ თუშიშვილს საერთაშორისო ფედერაციის მკაცრი სანქციის გამო, თბილისური ტურნირის გარდა, კიდევ სამ პრესტიჟულ შეჯიბრებაზე ეკრძალება გამოსვლა. მის გარეშე ჩატარდება ანთალიისა და ჰოჰოტის (ჩინეთი) გრან პრი და ბაქოს გრან სლემი. მსოფლიოს უძლიერესი მძიმეწონოსანი საერთაშორისო ტატამს ივნისში დაუბრუნდება მინსკში გასამართ მეორე ევროპულ თამაშებზე.

კობა კობახიძე

◎ ევრო — 2020

როცა მადა ტრაბახში მოდის

დაიწყო ევრო — 2020-ის შესარჩევი რაუნდი და ჯგუფური ტურნირის სატურნირო ცხრილში ჩვენთვის სავალალოდ ნაცნობი ვითარება შეიქმნა — საქართველოს ეროვნული ნაკრები ორი შეხვედრის შემდეგ მარაქაში ახლახან გარეულ გიბრალტართან ერთად ფსკერზეა ჩაძირული, თანაც ჯერჯერობით უქულოდ და უგოლოდ თამაშობს (თუ შეიძლება თამაში ეწოდოს „ჯვაროსანთა“ ფაფხურს).

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა თავი იმართლა — აქამდე ძლიერ მეტოქეებთან გვქონდა მატჩები და ასეთი შედეგი საგანგაშოდ არ უნდა მივიჩნიოთო. კი მაგრამ, თუ ელიტაში შეღწევა გვინდა, აბა, ვილას უნდა მოვუგოთ? იქნებ, დანიაა ვინმეზე სუსტი, ან თუნდაც ზემოთ ნახსენებ ჩვენსავით მაჩანჩალა დებიუტანტთან შესაძლო მომავალი გამარჯვება გამოგვადგება საამაყოდ და აგვინთებს მწვანე შუქს საგაისო ფორუმის ფინალური ეტაპისაკენ?

სხვათა შორის, თავმოყვარე თავკაცი ქუდს წინა საკვალიფიკაციო ბატალიების შემდეგ სხვათა მითითების გარეშე დაიხურავდა, როცა მისმა შეგირდებმა ათიდან ერთი ბრძოლაც კი ვერ მოიგეს, მაგრამ სლოვაკ სპეციალისტს ქართული ფეხბურთის მამებმა არნახული ნდობა გამოუცხადეს და პოსტზე დატოვეს.

ვინმე შეიძლება შემოგვედავოს — კი მაგრამ, ერთა ლიგაში ხომ ქვა ქვაზე არავისგან დავტოვეთო? მათ ვუპასუხებთ: თუ ისეთ სუსტ ნაკრებებთან მოპოვებული წარმატებები გაკმაყოფილებთ, რომელთა დასამარცხებლადაც უდავოდ ნიჭიერი ჭაბუკის გიორგი ჩაკვეტაძის ტალანტია საკმარისი, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. რატომღაც გვგონია, რომ მთლად ასე არ შეგვლახვია საფეხბურთო გემოვნება, რომელიც, სხვათა შორის, ძველი თაობების კორიფეთა დადგმული სპექტაკლებით ჩამოგვიყალიბდა.

ისე, ჩვენგან განსხვავებით, ვარსკვლავები დღესაც ახარებენ უცხოელ ქომაგთა გულებს, მაგრამ მხოლოდ მათი ყურება და ტელეეკრანებიდან ტკბობა ოსტატობის დასახვეწად საკმარისი არაა — ქართული ფეხბურთის სამკურნალოდ გაცილებით მეტია საჭირო!

ირლანდია — საქართველო 1:0, შვეიცარია — დანია 3:3 (85-ე წუთამდე მასპინძლები 3:0-ს იგებდნენ). ისვენებდა გიბრალტარი.

სატურნირო მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ: ირლანდია — 6, შვეიცარია — 4, დანია — 1, საქართველო, გიბრალტარი — 0-0 ქულა.

7 ივნისი. საქართველო — გიბრალტარი, დანია — ირლანდია. ისვენებს შვეიცარია.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

17 წლის კანადელის საგაზაფხულო გაელვება

კანადელი ჭაბუკი ფელიქს ოჟიე-ალიასიმი პირველ ნაბიჯებს დგამს პროფესიულ კორტზე, მაგრამ უკვე კოჭებში ეტყობა, რომ მისი სახით თანამედროვე ჩოგბურთში ისეთი ვუნდერკინდი შემოიჭრა, რომელიც მალე აალაპარაკებს სპორტულ სამყაროს.

სწორედ ასეთ თვითნაბად ტალანტთან გადაიკვეთა მაიამის მასტერზის მესამე წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილის

სატურნირო გზა და არაფერია სათაკილო, გამარჯვება მეტოქემ რომ მოიპოვა — 7:6, 6:4. სხვათა შორის, ძალთა თანაფარდობა საუკეთესოდ საბუკმეკერო კანტორებმა იყნოსეს და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თანამემამულე საერთაშორისო ლაივ-რეიტინგში მე-17 პოზიციას იკავებდა, მატჩისწინა ფსონებში უპირატესობა სწორედ ოკეანისგაღმელს მიანიჭეს. როგორც აღმოჩნდა, ისინი არ შემცდარან.

არადა, შეხვედრაში იყო რამდენიმე ისეთი ეპიზოდი, როცა შეიძლებოდა მოვლენები ბასილაშვილისთვის სასურველი სცენარით განვითარებულიყო, მაგალითად — პირველი პარტიის მეთერთმეტე გეიმის შემდეგ, როცა ნიკამ ბრეიქი შეასრულა და სეტზე აწვდიდა, ან მეორე ხელში, როცა საქართველოს პირველმა ჩოგანმა უკუბრეიქით ანგარიში გაათანაბრა — 4:4, მაგრამ კანადელმა ორივე შემთხვევაში უმალვე დაიბრუნა მოწოდება და დღეს მეოთხედფინალში ხორვატ ბორნა ჩორიჩს შეხვდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მსაჯობასაც ასწრებს

თანამედროვე ფეხბურთში მსაჯობას ხელი ქალბატონებმაც აქტიურად მიჰყვეს და მათი გამოჩენა მწვანე მინდორზე გასაკვირი სულაც არაა. მაგალითად, გერმანიის ბუნდესლიგაში ბიბიანა სტეინჰაუსი უკვე სტაჟიან არბიტრად ითვლება.

შედარებით უცნობი სახეა პოლონელი კაროლინა ბოიარი. ის 20 წლისაა, ამავე დროს — სტუდენტი და თანაც — მოდელი. მიუხედავად ამისა, მსაჯობასაც ახერხებს და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მომხიბვლელ საფეხბურთო არბიტრად მიიჩნევა. კაროლინა ვარშავის „ლეგიას“ აქტიური გულშემატკივარი და სოციალური ქსელის ნამდვილი ვარსკვლავია — მას ინსტაგრამში 150 ათასი მიმდევარი ჰყავს.

ბეჟან დოლიძე

გივი კარტოზიას არდავიწყება



ხვალ, 29 მარტს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა ღვაწლმოსილ სპორტსმენს, ლეგენდარულ ადამიანს, ბატონ **გივი კარტოზიას**.

უმაღლესი სპორტული მიღწევების უკან მუდამ იდგა ადამიანობით, სიკეთით, სამართლიანობითა და ვაჟკაცობით გამორჩეული პიროვნება, რომლის ღვაწლი განუზომელია ქართული სპორტის ისტორიაში.

ბატონი გივი სამაგალითო და მისაბაძი გახლდათ მთელი თაობებისთვის, მისი დათესილი სიკეთე დღესაც უნათებს გზას მის აღზრდილებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს გივი კარტოზიას სული.

რომან რურუა, ვლადიმერ კანკავა, თამაზ მაჭავარიანი, ბათუ კანკავა, ვასილ ცუხიშვილი.

რჩეული რჩეულთა შორის!

მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი გარდაიცვალა

ცნობილი ქართველი მსახიობი **ნოდარ მგალობლიშვილი** 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ნოდარმა კოტე მარჯანიშვილის დრამატულ თეატრში მუშაობა 1954 წელს დაიწყო. მან მალევე იპოვა საკუთარი თავი სპეციფიკური როლების შემსრულებელში. ადრეული პერიოდის როლებიდან გამოირჩევა მაქსიმ გორკის „ფსკერზე“, ჰენრიკ იბსენის „მოჩვენება“. უფრო მოგვიანებით ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“, იაგოს როლი უილიამ შექსპირის „ოტელოში“, თეიმურაზ ხევისთავი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“.

კინოკარიერა მგალობლიშვილმა მეორეხარისხოვანი როლებით 1958 წლიდან დაიწყო. კინემატოგრაფიაში ყველაზე დასამახსოვრებელი და გამორჩეული როლი მისი შესრულებით მარკ ზახაროვის „სიყვარულის ფორმულაში“ გრაფი კალიოსტროა.

1986-დან ნოდარ მგალობლიშვილმა კინოში ტემპი შეანელა. ამ პერიოდში გადაღებული ნამუშევრებიდან მან ითამაშა ედმონდ სეშანის „ზღვის მაშვრალში“, ზაზა ილურიძის „ანთიმოზ ივერიელში“, რუსულ ტელესერიალში „სახელად ბარონი“ და ა.შ. ის იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი 1976 წლიდან და სახალხო არტისტი 1979 წლიდან.

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჭეშმარიტი მამულიშვილის, ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობის, სახალხო არტისტის

ნოდარ მგალობლიშვილის

გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს და სრულიდ საქართველოს.

თბილისის საპატიო მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება „თანადგომა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მოქალაქე, ქართული თეატრის ლეგენდა, სახალხო არტისტი

ნოდარ მგალობლიშვილი

და უსამძიმრებს და თანადგომას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ოჯახის უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების

ნოდარ მგალობლიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 28, 29 მარტს;

მისამართი: მგალობლიშვილის ქ.№3

გამოსვენება: შაბათს, 30 მარტს, 15 საათზე.კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრიდან.



გურამ გუნავა, რომან კიზირია, სპარტაკ ქობულია, დარეჯან ელიაძე, მარინა კანდელაკი, ზაურ თელია, იური იობაია, მიშა ჟვანია, თამაზ კაჭარავა, ლეო ჯოჯუა იუწყებიან ჭეშმარიტი ქართველის, კეთილშობილი, ღვაწლმოსილი, ნიჭიერი მუშაკის, ღირსეული ოჯახის ღირსეული წარმომადგენლის

მხედარ ჩაჩავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

„საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები იუწყებიან კოლეგისა და გაზეთის ყოფილი თანამშრომლის ილია თიღილაურის დედის, კეთილშობილი ქალბატონის

ნათელა წიკლაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და ახლობლებს.

გალის №3 საშუალო სკოლის 1969 წლის მე-10 „ბ“ კლასის კურსდამთავრებულები იუწყებიან

ანზორ ეზუხბაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე, შალვა სამადალაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ გოგი და თეა გოგობერიშვილებს ძმისა და მაზლის

ზურაბ თამაზის ძე გოგობერიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ სართანია

სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ კოლექტივს გამოაკლდა ერთი კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და უღალატო ადამიანი **ნუგზარ სართანია**.

სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო ჩვენთან შრომითი საქმიანობა, აქვე ეზიარა მშენებლისა და მძღოლის პროფესიას, ზედმიწევნითა და მაღალი პასუხისმგებლობლით ასრულებდა ყველა დავალებას. აქვე შექმნა ოჯახი და ხელმძღვანელობის დახმარებით წამოიწყო სახლის მშენებლობა, უმოკლეს დროში დასახლდა, გაზარდა შვილები, მუხლჩაუხრელად შრომობდა და ქალაქად თუ სოფლად თვალს ხიბლავდა და ახარებდა მისი კარ-მიდამოს სილამაზე, სამაგალითო მასპინძლობა, თვალის დახამხამებაში შეეძლო სტუმრების პატივისცემა.

სიყვარულით იცხოვრა და იმიერშიც ადამიანთა სიყვარული გაჰყვა თან... ის ხომ მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის ცხოვრობდა, ჭირში თუ ლხინში მათ გვერდში იდგა — ეს იყო მისი გამორჩეული და თანდაყოლილი თვისება.

ვაი, რომ ბედისწერამ უდროოდ დაუსვა წერტილი მის სიცოცხლეს!... სამომავლო გეგმებს.

ჯავრად გაჰყვა, რომ ვერ მოესწრო ყველაზე უმცროსი შვილის ნიკას ცხოვრების გზაზე დაყენებას.

ოჯახს, სამეგობროს, სამეზობლოს, ძალიან ბევრ ადამიანს დააკლდა ერთი ლამაზი სულისა და დიდი გულის პატრონი კაცი, რომლის ნათელი ხსოვნაც გაუხუნრად შემორჩება ჩვენს მეხსიერებას.

დაკრძალვა 30.III. ქ. სენაკში.

სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საზოგადოების თანამშრომლის, კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობითა და თანადგომით გამორჩეული პიროვნების

ნუგზარ სართანიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

მეგობრები იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს

ნუგზარ სართანიას

გარდაცვალების გამო.

დემურ გადელია, დავით გვარამია, ალან თოდუა, ტიტიკო კაკულია, ნუგზარ ჩვამანია, სოსო შარტავა, ავთანდილ ტაგანაშვილი, ომეხი ყურაშვილი, ვახტანგ ხუხია, იზარდი წოწონავა.

დონალდ ტრამპს მელანია თეთრი სახლის ეზოში დარჩა

მორიგი უხერხული მომენტი – დანალდ ტრამპისგან „საინტერესო“ მომენტების ხშირი მომსწრენი ვართ, განსაკუთრებით კი მელანია ტრამპთან მიმართებით, ამ შემთხვევაში ალბათ ყველას გაახსენდება „ქოლგის ეპიზოდი“ – წვიმის დროს დონალდი თავად რომ იფარებდა ქოლგით თავს, მელანია კი „ისე იყო დატოვებული“.

ორი დღის წინ კი დონალდს მელანია თეთრი სახლის ეზოში დარჩა, როცა ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს დახვდა.

TOYOTA წყალბადის ძრავიანი ავტომობილების წარმოებას გაზრდის

იაპონური ავტომობილების ცნობილი ბრენდი Toyota წყალბადის ძრავაზე მომუშავე ავტომობილების წარმოებას აფართოებს, წერს Deutsche Welle. კომპანიაში აცხადებენ, რომ წყალბადის ძრავით, არა მხოლოდ „ლუქსის“ კლასის ავტომობილების გამოშვებაა შესაძლებელი. კომპანია წყალბადის ძრავის გამოყენებას სერიულ წარმოებაშიც გეგმავს.



წყალბადის ძრავის მთავარი უპირატესობაა, ის არის, რომ უხმაუროდ მუშაობს და მავნე ნივთიერებებს არ ისვრის ატმოსფეროში. ავტომობილი შემდეგი პრინციპით მუშაობს: წყალბადი ელექტროენერგიად გარდაიქმნება, რომლითაც სპეციალური ძრავა იმუხტება. მისი უპირატესობა ელექტრომანქანებთან შედარებით ის არის, რომ საწვავის მარაგს უფრო დიდხანს ინარჩუნებს და დამუხტვასაც მხოლოდ რამდენიმე წუთი სჭირდება.

Toyota Mirai კომპანიის მიერ წარმოებული პირველი მოდელია, რომელიც წყალბადის ძრავით მუშაობს. დღეს წყალბადის ძრავით ავტომობილებს აწარმოებს Hyundai. ამ დროისათვის, წყალბადის ძრავის დანერგვა ავტოწარმოებაში ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამის მიუხედავად Toyota-ას სპეციალისტები ამბობენ, რომ ამ ძრავაზე მომუშავე ავტომობილები საკმაოდ ეკონომიურია.

ნაპოვნია პიკასოს დაკარგული ნახატი

ჰოლანდიელმა არტურ ბრანდმა, რომელიც დაკარგული ხელოვნების ნიმუშების ძიებითა და აღმოჩენით არის ცნობილი, 20 წლის წინათ მოპარული პაბლო პიკასოს ნახატი იპოვა.

ბრანდი, რომელსაც ხელოვნების სამყაროში ინდიანა ჯონსს უწოდებენ, ამბობს, რომ ეს პორტრეტი ნიდერლანდებში მრავალი წლის განმავლობაში კრიმინალების ხელიდან ხელში გადადიოდა. ის 1999 წელს საუდელი შეიხის იახტიდან გაიტაცეს. არტური ნახატს ოთხი წლის განმავლობაში ეძებდა.

ნახატი „ქალის ბიუსტი“ (დორა მაარი) მხატვარმა 1938 წელს შექმნა. ის დღეისათვის 25 მლნ ევროდ არის შეფასებული.

დორა მაარი პაბლო პიკასოს საყვარელი ქალი და მუზა იყო. პორტრეტი მხატვრის გარდაცვალებამდე – 1973 წლამდე მის სახლში ინახებოდა.

არტურ ბრანდმა ყურადღება მიიქცია გასულ წელს, როდესაც მოციქულ მარკოზის გამოსახულებიანი ბიზანტიური მოზაიკა აღმოაჩინა. ის კვიპროსში, ეკლესიიდან 1970 წელს მოიპარეს.



კუნძული 1 მლნ ევროდ...

იტალიის ერთ-ერთი არისტოკრატული ოჯახი კუნძულს ყიდის, რომელიც სიცილიის კუნძულის სიახლოვეს მდებარეობს. კუნძულის შეძენა მსურველს 1 მლნ ევროდ შეუძლია. კუნძული დაცული საზღვაო პარკის ნაწილია და დაივინგისათვის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად ითვლება. კუნძულზე შემონახულია ასევე ძველი კოშკი.

კუნძულის გასაყიდი ღირებულება 3.5 მლნ ევროა, თუმცა ინვესტორების მხრიდან დაბალი ინტერესის გამო, მფლობელი თანახმაა კუნძული 1 მლნ ევროდ გაასხვისოს.

„ევროვიზია 2019“, შესაძლოა, არ ჩატარდეს

სიმღერის საერთაშორისო კონკურსი „ევროვიზია 2019“, რომელიც ისრაელში უნდა ჩატარდეს, ჩაშლის საფრთხის წინაშე დგას. ამის შესახებ დასავლური მედია იუწყება. კონკურსის მონაწილე ზოგიერთმა ქვეყანამ შეშფოთება გამოთქვა ღაზას სექტორიდან ისრაელის წინააღმდეგ სარაკეტო დარტყმების გამო. აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი რაკეტა იმ ადგილიდან 17 კმ-ის დაშორებით დაეცა, სადაც „ევროვიზიის“ კონკურსი უნდა გაიმართოს. ინციდენტის შედეგად დაიჭრა შვიდი ადამიანი, მათ შორის ბავშვებიც.

უცხოური მედია ვარაუდობს, რომ შესაძლო საფრთხის გამო კონკურსის გაუქმების ალბათობა დიდია. ამასთან, ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ კონკურსისთვის მზადებას განაგრძობენ. მათი თქმით, თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან და თვალს ადევნებენ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, რათა უზრუნველყონ სტუმრების უსაფრთხოება და კომფორტი. „ევროვიზია 2019“ თელ ავივში 14-18 მაისს იმართება.

ვირთაგვების სიცილი

ნებისმიერ ვითარებაში ჯანსაღი და ლამაზი კბილების დემონსტრირების ჩვევა თურმე, სულაც არ ყოფილა ადამიანის „გამოგონება“. გაჭირვების ჟამს ვირთაგვების გუნდების – დემების წინამძღოლებიც არა თუ იღიმებიან, არამედ... იცინიან კიდეც!

ადამიანს ვირთაგვის სიცილის გაგონება არ შეუძლია, ვინაიდან ესაა 50 კილოჰერცის სიხშირის ბგერა, ადამიანის ყური კი ხმებს მხოლოდ 16 ჰერციდან 20 კილოჰერცამდე დიაპაზონში აღიქვამს. სხვათა შორის, ერთმანეთში ვირთაგვები ასევე ულტრაბგერით დიაპაზონში ლაპარაკობენ. ასეთი ხმები შორს არ ვრცელდება, ამდენად მტრები მათ საუბარს ვერ მოისმენენ. სიცილი კი ვირთაგვებში სიმშვიდისა და ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ნიშანია, ასევე ფსიქიკური და სულიერი ჯანმრთელობის მაჩვენებელი – მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც ადამიანებში.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6892; ევრო - 3.0453;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5581
100 რუბლი - 4.1878; თურქული ლირა - 0.4830;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5818;
1000 სომხური დრამი - 5.5345.

ამინდი 28 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +12
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3,	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე +1,	დღე +10
თბილისი:	ღამე +8,	დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge